ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1418548

ნომერი: AR1239724

თარიღი : 24.07.2014

გაცემის თარიღი : 04.08.2014

გაცნობის თარიღი : 05.08.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ჩოლოყაშვილის ქ. #48ა;

თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 11ა ბ. 16

დამკვეთი-განმცხადებელი

- ჯემალ მიმინოშვილი პ/ნ 01024012274

ორგანიზაცია:

- ი.ბ.ა. "ორთაჭალა-2006" კოდი: 206330406

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ავტოფარეხის მოწყობა (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საზღვრებში)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

არქიტექტურის სამსახურმა განიხილა AR1239724 ელექტრონულად ატვირთული განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ისანის რაიონი, ჩოლოყაშვილის ქ. #48ა კორპუსის წითელ ხაზებში, არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკად. კოდი №01.17.12.060.030) ავტოფარეხის განთავსებას ; პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის თანახმად, თქვენი საპროექტო ობიექტი განეკუთვნება I კლასის შენობა-ნაგებობებს და არ საჭიროებს ნებართვას, ამავე დადგენილების 66-ე მუხლის შესაბამისად, მისი მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობაზე თანხმობა გაიცემა წერილობით.

მოგახსენებთ, რომ ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია ავტოფარეხის განთავსება საკადასტრო გეგმაზე მონიშნულ საპროექტო ტერიტორიაზე. მოქ. ჯემალ მიმინოშვილის ავტოფარეხი განთავსდეს საკადასტრო გეგმით 08/1–ის მიმდებარედ, ხოლო მისი სიმაღლე განისაზღვროს გვერძე მდგომი ავტოფარეხების სიმაღლის შესაბამისად;

,,ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ '' ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილების თანახმად მშენებლობა შესაძლებელია, თუ ავტოფარეხი მდებარეობს სისტემურად ჩამოყალიბებული ავტოფარეხების რიგში, რიგის ბოლოს ან რელიეფში შეჭრით, ამასთან საცხოვრებელი ზონების ცალკეულ ქვეზონებში დროებითი შენობა-ნაგებობების (ავტოფარეხების) ექსპლუატაციის ვადა განისაზღვრება არა უმეტეს 3 წლით, რომლის ამოწურვის შედეგად დროებითი შენობა-ნაგებობა (ავტოფარეხი) ქ. თბილისის თვითმართველი ერთეულის პირველივე მოთხოვნისთანავე ექვემდებარება დემონტაჟს.
